სამაგისტრო პროგრამის დასახელება: *გერმანული ფილოლოგია*
German Philolgy

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: *გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი*
(Master of Arts in German Philolgy)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამით **გერმანული ფილოლოგიის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო **120 ECTS** კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **20 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის საერთო სავალდებულო (საკომპეტენციო) სასწავლო კურსებს.
- **40 ECTS კრედიტი** – გერმანული ენათმეცნიერების / ან გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულის **სავალდებულო დისციპლინებს;**
- **30 ECTS კრედიტი** განკუთვნილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
- **30 ECTS კრედიტი** განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის (სამაგისტრო ნაშრომისთვის).

პროგრამის ორი მოდულიდან მაგისტრანტი არჩევანს აჩერებს ერთ-ერთზე, თუმც არჩევითი საგნების ფორმატში მას შეუძლია საკუთარი ფილოლოგიური კომპეტენციების გაღრმავება არჩევით კრედიტებში პარალელური მოდულის საგნების შესწავლის საფუძველზე.

სწავლების ენა **ქართული**
სასწავლო კომპონენტის გარკვეული ნაწილი წარიმართება გერმანულ ენაზე.

პროგრამის მიზანი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს საბაკალავრო major

პროგრამის განვითარებასა და გაღრმავებას გერმანულ ფილოლოგიაში. იგი მოამზადებს გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს, რომელსაც ეძლევა სამაგისტრო დონის შესაბამისი კომპეტენციები გერმანული ფილოლოგიის დარგში. პროგრამა მოამზადებს მაგისტრს როგორც გერმანული ენათმეცნიერების ისე გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის კვლევებისთვის.
პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული გამოყენებით სფეროებზე ორიენტირებული მოთხოვნებიც – შეპირისპირებითი გერმანულ/ქართული კვლევები არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის და ლინგვისტიკის (თეორიულ) სფეროებში, არამედ მხატვრული და დარგობრივი თარგმანის სფეროებში, დარგობრივი გერმანული და ქართული ტექსტების ლინგვისტური თავისებურებების შეპირისპირებით კვლევებში – ეკონომიკური, იურიდიული, დიპლომატიური და სამედიცინო დარგობრივი ენებისა და ტექსტების სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანული ფილოლოგიის დარგში, მოამზადოს ის როგორც გერმანისტი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში, შესძენს მას იმ დარგობრივ და მეცნიერულ კომპეტენციებს გერმანულ ფილოლოგიაში და შეუქმნის მას იმ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რაც საშუალებას მისცემს მაგისტრს, სწავლა გაარძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა).

ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს ქართული გერმანისტიკის დარგის საუნივერსიტეტო ტრადიციებს და ითვალისწინებს გერმანული ფილოლოგიისა და ზოგადად გერმანისტიკის კვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და გერმანულენოვანი ქვეყნების საუნივერსიტეტო გამოცდილებას გერმანისტიკის დარგში, როგორც გერმანული ენათმეცნიერების ასევე ლიტერატურათმცოდნეობისა და მედიევისტიკის სფეროებში, რაც ჩვეულებრივ, მხოლოდ გერმანულენოვანი საუნივერსიტეტო გერმანისტიკისთვის არის დამახასიათებელი და იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში გერმანისტიკის დარგში. ეს კი მიანიშნებს თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის მცდელობაზე, შეინარჩუნოს და განავითაროს გერმანისტიკის კლასიკური სახე, რაც მაღალ შეფასებას იმსახურებს გერმანელი ექსპერტების მხრიდან.
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება (საკომპეტენციო საგნები მოიცავს როგორც გერმანული ენათმეცნიერების, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის, თარგმანისა და მედიევისტიკის სფეროებს) მიზანმიმართულია

სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისკენ გერმანული ენისა და ლიტერატურის ძირითადი ობიექტის – ტექსტის სხვადასხვაგვარი ფორმების, ფუნქციებისა და მედიალური რეპრეზენტაციების ანალიზისა და ინტერპრეტაციების გზით; ენობრივი კომპეტენციის გაღრმავებისა და სრულყოფისკენ ევროკომისიის მიერ შემუშავებული "საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს" სკალირების შესაბამის C^1-დონემდე; წარმოდგენილი მოდულების ფარგლებში პროგრამა მიზნად ისახავს:

- სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურის ტექსტების გაცნობას, ტექსტის სახეობათა ლინგვისტური ანალიზს შერჩევით;
- დარგობრივი და ლიტერატურული (ფიქციონალური) ტექსტის პროდუქციის (წარმოქმნის) და რეცეფციის (გაგების) პროცესის წვდომას;
- მაგისტრანტისთვის მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის ფორმატში კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის დამოუკიდებელი მოძიების უნარ-ჩვევების შეძენას;
- სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას;
- ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ყველა შესაძლო სოციალური სწავლებისა და კვლევის ფორმაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში კურსდამთავრებულის უკეთ ინტეგრაციას საზოგადოებაში და მის წარმატებულ დასაქმებას;
- მაგისტრანტისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებას; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარებას, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებას და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამაზე "გერმანული ფილოლოგია" დაიშვებიან პირები, რომელთაც

- გერმანულ ენაში აქვთ ენობრივი კომპეტენცია, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული "საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს" სკალირების შესაბამის B^2 დონეს, ფლობენ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მის

დარგებში/ქვედარგებში) ძირითადი ან დამატებითი სპეციალობით „გერმანული ფილოლოგია“;

- ასევე: პირები, რომლებიც ფლობენ ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს, იცვლიან სპეციალობას საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის მ.48, პ.4[ბ] თანახმად და გერმანულ ენაში აქვთ ენობრივი კომპეტენცია, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული “საერთოევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს” სკალირების შესაბამის B [2] დონეს და დარგობრივ კომპეტენციებს თეორიულ საგნებში წარმოაჩენენ მისაღებ წერილობით სასპეციალიზაციო გამოცდაზე.

- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.

- გარდა საერთო წინაპირობებისა (ერთიანი სამაგისტრო გამოცდა), სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად საჭიროა სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება გერმანულ ფილოლოგიაში.

სწავლის შედეგი:

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით მომზადებული მაგისტრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემური განათლება სპეციალობაში, ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები გერმანისტულ დისციპლინებში. დარგს ფლობს კონცეპტუალურ დონეზე. ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა დამოუკიდებელი ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. მაგისტრს აქვს კარგი თეორიული და პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

ცოდნა-გაცნობიერება:

გერმანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე **გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს** გააჩნია ზოგადად ფილოლოგიის და კერძოდ, გერმანული ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს. **გერმანული ფილოლოგიის მაგისტრი** ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს გერმანული ფილოლოგიის დარგის შემადგენელი მოდულების სპეციფიკა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (გერმანულს) და ინგლისურს, არჩევის შემთხვევაში კი ერთ-ერთ სხვა ევროპულ ენასაც მინიმუმ B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და

კვლევითი მიზნებისთვის.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:
გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს სპეციალობით შეუძლია ზოგადად დასავლეთევროპულ და კერძოდ, გერმანული ფილოლოგიის დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, **ორიგინალური გზების ძიება, მათ** შორის, კვლევის **დამოუკიდებლად** განხორციელება **უახლესი** მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ჰუმანიტარული ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ენობრივი და ლიტერატურული ტექსტების კორპუსების ანალიზის, შედეგების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია გერმანული და ინგლისური, არჩევის შემთხვევაში სხვა ევროპული ენების პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, გერმანულ და ინგლისურ ენებზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება.

დასკვნის უნარი:
გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით.

კომუნიკაციის უნარი:
გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება

აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.

გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს შეუძლია მაპროფილებელ (გერმანულ) და ინგლისურ (არჩევის შემთხვევაში, სხვა ევროპულ) ენებზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ხასიათის ტექსტის – ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, დარგობრივი პრეზენტაციის წარმართვა შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

სწავლის უნარი:

გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები:

გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგები	სამაგისტრო პროგრამაზე *გერმანული ფილოლოგია* სწავლის დასრულების შედეგად მაგისტრი იძენს ცოდნასა და უნარებს, რომელთა გამოვლინება შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციების მიხედვით: **I ცოდნა და გაცნობიერება**

	• სამაგისტრო პროგრამის *გერმანული ფილოლოგია* კურსდამთავრებულს გააჩნია ბაკალავრიატის დონეზე დაფუძნებული და სამაგისტრო დონეზე გაღრმავებული დარგობრივი ცოდნა. • მას შესწევს უნარი, განსაზღვროს თავისი კვლევის სფეროს საზღვრები, გააცნობიეროს მისი თავისებურებები და გაიგოს და განმარტოს დარგის და სპეციალური სფეროების/მოდულების შესაბამისი ტერმინოლოგია. • მას გააჩნია ფართე, მთლიანად დარგის "გერმანული ფილოლოგია" და ამავე დროს დეტალიზებული და გაღრმავებული ცოდნა და კრიტიკული მიდგომის უნარი თანამედროვე დონეზე ერთ სპეციალურ სფეროში (გერმანულ ენათმეცნიერებას ან გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში). • ცოდნის გაღრმავების გზით მას შეუძლია საკუთარი იდეების განვითარება და გამოყენება. ეს შეიძლება იყოს მეცნიერულ კვლევაზე ან / და თანამედროვე ბაზრის სეგმენტებში დასაქმებაზე ორიენტირებული. • გერმანული ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს გააჩნია გერმანული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეულ პრობლემებზე ორიენტირებული დარგობრივი კომპეტენციები. მაგისტრანტი იძენს: • სწავლის I სემესტრში ფართო ფილოლოგიურ ცოდნას *გერმანული ფილოლოგიის* სამაგისტრო პროგრამის ორივე მოდულის*: ენათმეცნიერების და ლიტერტურათმცოდნეობის* საკომპეტენციო საგნებში. • სწავლის II და III სემესტრებში ფართო, სისტემებზე ორიენტირებული ცოდნის საფუძველზე დეტალურ ცოდნას ერთ-ერთ მოდულში - *გერმანულ ენათმეცნიერებასა ან ლიტერატურათ-მცოდნეობაში*, განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებითა და შერჩეულ მოდულთან დაკავშირებული ფილოლოგიური უნარ-ჩვევებით: გაღრმავებული ლინგვისტური ან გაღრმავებული ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციებით. ***გერმანული ენათმეცნიერების*** მოდულის ფარგლებში მაგისტრანტი: • იღებს დარგობრივ ცოდნას სინქრონულ პერსპექტივაში. სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მოდული გულისხმობს: გერმანული ენათმეცნიერების ცალკეული დარგების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების გაცნობას, მათ შორისაა: საკომპეტენციო საგანი – გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები, რომელითაც იგი ეცნობა ლინგვისტური აზროვნების განვითარების ისტორიის ზოგად სქემას და თანამედროვე ლინგვისტური თეორიების საკითხებსა და

	პრობლემებს. ამ საგნის თემატიკა საფუძველია შემდგომი ცალკეული აუცილებელი და არჩევითი დისციპლინების შესწავლისთვის. • ეცნობა ფილოლოგიური კვლევის კომპარატისტულ მეთოდებს (მაგ. კონტრასტული ლინგვისტიკა), აგრეთვე დარგობრივ (ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა) და თემატურ მიდგომებს (სინტაქსის თანამედროვე თეორიები, ფუნქციონალური და კულტურათგანმასხვავებელი გრამატიკა). • ივითარებს ფილოლოგიური დისკუსიის ჩვევებს (ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, ტექსტის სტილისტიკა); • ეუფლება ცალკეულ ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ფონეტიკა/ფონოლოგია, სინტაქსის თანამედროვე თეორიები, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ასევე: სემიოტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კოპიუტერული ლინგვისტიკა); • ეუფლება ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს (ტექსტის სტილისტიკა); • სწავლობს ლინგვისტური კვლევის ტექნიკებს: ემპირიული მასალის მოძიებას, მეთოდურ დალაგებას და ანალიზს (კონტრასტული ლინგვისტიკა, ტექსტის სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა, სინტაქსის თანამედროვე თეორიები); **სწავლის IV სემესტრში** ე.წ. მასტერ - ფაზაში გერმანული ენათმეცნიერების მოდულის მაგისტრატი: თანამედროვე გერმანული ენათმეცნიერების პრობლემაზე დაწყებული სამაგისტრო ნაშრომის დასრულების, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვისა და ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე იღებს ცოდნას, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული იდეების შემუშავებით და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებით კვლევითი უნარების გამომუშავებას და საფუძველს უქმნის სწავლის შემდგომ სადოქტორო დონეზე სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებასა თუ შრომითი საქმიანობის დასაწყებად სასპეციალიზაციო თუ მომიჯნავე სფეროში.. ***გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის* მოდულის** ფარგლებში მაგისტრანტი იღებს დარგობრივ ცოდნას გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში: • გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორიაში (კონსტანცის ლიტერატურული სკოლის ლიტერატურული ჰერმენევტიკა; გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები; რომანის, დრამის, ნოველის, მოთხრობის, ლირიკის თეორია); • ცოდნას ისეთ მნიშვნელოვან მეთოდებში როგორიც არის ლიტერატურული ჰერმენევტიკა, ტექსტის იმანენტური ინტერპრეტაცია, ახალი კრიტიციზმი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა, დეკონსტრუქცია, დისკურსის ანალიზი,

	ფსიქოანალიტიკური ლიტერატურათმცოდნეობა, „ფრანკფურტის სკოლის“ კრიტიკული თეორია (თეოდორ ადორნო, ვალტერ ბენიამინი), ემპირიული ლიტერატურათმცოდნეობა (ზიგფრიდ შმიდტის კონსტრუქტივიზმი), სისტემური თეორია და ნიკლას ლუმანი, და სხვა; • სპეციალურ ცოდნას კონსტანცის ლიტერატურული სკოლის რეცეფციის ესთეტიკაში : (ჰანს რობერტ იაუსის „ესთეტური განცდა და ლიტერატურული ჰერმენევტიკა“, „ლიტერატურის ისტორია როგორც პროვოკაცია“; ვოლფგანგ იზერის „ტექსტების აპელატიური ფუნქცია“, „კითხვის აქტი: ესთეტური გავლენის თეორია“, „იმპლიციტური მკითხველი“. მაგისტრანტები გაეცნობიან რომანის თეორიის უმნიშვნელოვანეს კონცეფციებს, გერმანულენოვანი დრამის განვითარების ძირითად საფეხურებს, გერმანულენოვანი ნოველის და მოთხრობის თეორიას, ლირიკული ტექსტების ანალიზის თანამედროვე ხერხებს. • სასწავლო კურსების პირველ და მეორე ნაწილს აერთიანებს მათი ორიენტაცია გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიაზე, რომლის მეშვეობით სტუდენტი იძენს აღნიშნულ კონტექსტში ცოდნას გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფციის შესახებ საქართველოში. ასევე იძენს ცოდნას თომას მანის, მაქს ფრიშის, შემოქმედებაზე მათი ნაწარმოებების თარგმანის თეორიის კონტექსტში; გერმანული მედიევისტიკის ფარგლებში სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით სტუდენტს აქვს შუა საუკუნეების ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობისა და გერმანულ შუა საუკუნეებში საზოგადოების და ლიტერატურული ტექსტების ურთიერთმიმართების ანალიზის უნარი • მოდულის მესამე ნაწილში ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებში კურსდამთავრებულებს გააჩნიათ არა მხოლოდ გერმანულენოვანი ლიტერატურის ნაწარმოებების და მათი ავტორების შესახებ ცოდნა არამედ მნიშვნელოვანი გერმანელი ფილოსოფოსების, კულტურის ისტორიკოსების და სოციოლოგების – ფრიდრიხ შლაიერმახერის, ვილჰელმ დილთაის, მარტინ ჰაიდეგერის, ჰანს-გეორგ გადამერის, ფრიდრიხ ნიცშეს, მაქს ვებერის, გეორგ ზიმელის, ოსვალდ შპენგლერის – ნააზრევის გათვალისწინებით; ინტერდისციპლინური მიდგომის უნარს კურსადამთავრებული იძენს აგრეთვე გერმანულენოვანი ლიტერატურის და კინემატოგრაფიის შედევრების ინტერმედიალურ ანალიზის შესწავლის გზით. • მაგისტრანტი ეცნობა რეალიზმს, ნატურალიზმს, ნეორომანტიზმს / სიმბოლიზმს, ექსპრესიონიზმს, ახალ საგნობრიობას და სხვა და იძენს ლიტერატურის ღრმა ცოდნას ყოველ სასწავლო კურსში, რომელშიც დამუშავებულია მაღალი ხარისხის გერმანულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. • შედეგად მაგისტრანტი იძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის დარგის შესახებ. მას შეეძლება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა გერმანულენოვანი ლიტერატურათ-მცოდნეობის სპეციალობის უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით, პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია ქართულ და გერმანულ ენებზე. მოდულის

	ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსების დახმარებით გამოიმუშავებს ასევე ზოგად უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამოადგება პროფესიული საქმიანობისას: შეეძლება თავისი დასკვნების და არგუმენტაციის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება; გამოიმუშავებს ანალიზის, შეფასების, პრობლემის გადაჭრის უნარებს; ექნება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ჯგუფური მუშაობის უნარები; შეძლებს დროის დაგეგმვას და მართვას. • სინქრონულ პერსპექტივაში სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მოდული გულისხმობს: ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეული დარგებისა და მოვლენების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების გაცნობას, მათ შორისაა: ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურa, გერმანულენოვანი ლირიკა, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, გერმანულენოვანი რომანი, დრამა, ლირიკა სხვ.); ამრიგად, სტუდენტი პირველი სამი სემესტრის განმავლობაში სწავლის შედეგად • ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებებს და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიას, ეტაპობრივად ეცნობა (მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურული ტექსტის კითხვა) საპროგრამო ნაწარმოებებს; • ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებსა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს (ლირიკის ანალიზი, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია, გერმანულენოვანი ლირიკა/ რომანი/ დრამა, გერმანული კინემატოგრაფიის შედევრების ინტერმედიალური ანალიზი; • ეუფლება ცოდნას თანამდროვე ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან საკითხებსა და თემატიკის სფეროებში და ლიტერატურათმცოდნეობის წარსულის ზოგად სქემაზე დაყრდნობით. სწავლის IV სემესტრში ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებისადმი მიძღვნილ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში უვითარდება სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება - დამუშავების, პრობლემის კვლევის, შესაბამისად შერჩეული კორპუსის ანალიზის, ლოგიკური აზროვნების/ არგუმენტაციის და დასკვნების გამოტანის უნარები, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის საფუძველზე იღებს ცოდნას, რომელიც ხელს უწყობს ცალკეული იდეების შემუშავებით და პრობლემების გადაჭრის გზების მოძიებით კვლევითი უნარების გამომუშავებას და საფუძველს უქმნის სწავლის შემდგომ სადოქტორო დონეზე სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებასა თუ შრომითი საქმიანობის დასაწყებად სასპეციალიზაციო თუ მომიჯნავე სფეროში.

	II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი • გერმანული ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები იძენენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ე.წ. "ინსტრუმენტალურ კომპეტენციებს" - გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, გაგება და უნარები იმგვარი პრობლემების გადასჭრელად, რომლებიც უფრო ფართე ან მულტიდისციპლინარულ კავშირშია მათ საგანთან. • სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე იძენს კონკრეტულად შემდეგ პრაქტიკულ უნარებს: • უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დისკუსიის წარმართვის, დარგობრივ საკითხებზე და კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის; • გერმანულ ენაზე ემპირიული მასალის, ავთენტური ტექსტების საკვლევი კორპუსის შერჩევისა და კითხვის; • გერმანულ ენაზე დამატებითი ლიტერატურის მოძიების, შერჩევისა, შეფასებისა და დალაგების, მოძიებული სამეცნიერო (დამატებითი) ლიტერატურის, დამუშავებისა და თარგმნა-კომენტირების; • ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენების, კვლევის ორიგინალური გზების ძიების და დამოუკიდებლად განხორციელების; • მულტიკულტურულ გარემოში (მაგ. გერმანულენოვან ქვეყანაში სწავლის დროს) კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის;
	III დასკვნის უნარი • მაგისტრანტი ეუფლება ტექსტში გადმოცემული მოვლენებისა და პროცესების, ტექსტით ოპერირების და მანიპულაციის, უცხო ენაზე პროდუცირებული ტექსტების ანალიზისა და სინთეზის, სამეცნიერო ტექსტის სახეობების ფორმირებისა და აუცილებლობის შემთხვევაში გამართულად თარგმნის; • უახლესი ან თუნდაც არასრული და რთული ინფორმაციების კრიტიკული გაცნობიერების, არგუმენტაციისა და შეჯერების საფუძველზე გამოიმუშავებს ინოვაციური სინთეზის და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ბაზის შექმნის უნარს; **IV. კომუნიკაციის უნარი** • კომუნიკაციის უნარი საფუძველია სტუდენტის საზოგადოებაში მომავალი როლის უკეთ მოსამზადებლად, მისი წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა და დასაქმების უკეთესი შესაძლებლობების შექმნისთვის. სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებების გააზრებასა და პატივისცემისთვის, სამეცნიერო დისკუსიაში

	მონაწილეობისთვის გერმანულსა და ქართულ ენებზე. • გერმანული ფილოლოგიის ორივე მოდულის მაგისტრანტებს შეუძლიათ დარგის სპეციალისტებს ან დაინტერესებულ პირებს გააცნონ მოტივაციები, მიაწოდონ ინფორმაციები, ცხადად და გასაგებად აუხსანან თავიანთი იდეები და შეხედულებები პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახები, გააცნონ კვლევის შედეგები და დასკვნები,შესძლონ დისკუსიაში მონაწილეობა სათანადო სამცნიერო დონეზე. ტექიკური და მედიალური საშუალებების გათვალისწინებით თავის თავზე აიღონ სამუშაო ჯგუფში განსახორციელებელი პროექტების შესრულების პასუხისმგებლობა და მათ გააჩნიათ გააჩნიათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის უნარი. **V. სწავლის უნარი** • სასწავლო პროგრამის ფარგლებში თითოეული დისციპლინა ეფუძნება გარკვეულ (მეთოდოლოგიურ) მიდგომებს, რაც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს დამოუკიდებლად სწავლის სტრატეგიისა და დროის მართებულად ორგანიზებას, აგრეთვე პრობლემის წამოჭრასა და მის გადაწყვეტას, დარგობრივი გაღრმავებული ცოდნის შეძენას. • მეთოდოლოგიური უნარის შეძენა ხდება სწავლების პროცესში. მაგისტრანტი სწავლობს: ერთი მხრივ სწავლისა და სწავლების, ხოლო მეორე მხრივ კვლევის თითოეული საფეხურის სტრატეგიულ დაგეგმვას (დროის მართებული განაწილება ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტებისა და პრეზენტაციებისას), • ტექსტით მანიპულაციის მეთოდოლოგიასა და მისი კვლევის სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის განხილვის, მომზადებისა და რეალიზების, ასევე ანალიზისა და ინტერპრეტაციის ყოველი საფეხურის გათვლასა და ეტაპობრივ განხორციელებას. • აქტუალური კვლევების შედეგად მიღებული სიახლეების სწრაფ ხელმისაწვომობას და შესაბამისად ინტერნეტრესურსების აქტიურ გამოყენებას სასწავლო-კვლევით პროცესში; • თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვის, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბების და მიღებულ სტანდარტებში წარმოდგენისთვის ტექნოლოგიური უნარების (მულტიმედიური ტექნოლოგიების) ინტეგრირება, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სასწავლო პროცესში მოაზრებულ კვლევით კომპონენტში ტექნიკური საშუალებების (აუდიო-ვიდეო, დივიდი, კომპიუტერი, პროექტორი, ფოლიე, პოსტერი, დაფა) ჩართვა კვლევის შედეგებისა და სასწავლო მასალის აუდიტორიისათვის თვალსაჩინოდ მიწოდების მიზნით. **VI ღირებულებები:**

	მაგისტრანტს უვითარდება სოციალური უნარები: • სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის: დროის ფორმატის ზუსტი განსაზღვრა, პუნქტუალობა, პასუხისმგებლობა საკუთარ ნაშრომზე, წარმოდგენილი მასალის ნამდვილობა, სხვათა საავტორო უფლებების დაცვა (პლაგიატის კატეგორიული უარყოფა), სხვათა აზრის გათვალსიწინება და პატივისცემა, საკუთარი აზრის კორექტულად გამოხატვა, დისკუსიის წარმართვა ეთიკის ფარგლებში და სხვ. • თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისადმი წაყენებული სიახლეებში ადაპტაციისა და სასწავლო-კვლევითი პროცესის მობილურობაში ჩართვის უნარი. • აკადემიური ეთიკისა და სტანდარტების დაცვა, სამეცნიერო ლიტერატურის ზუსტი მითითების აუცილებლობის გათვალისწინება.

სწავლის შედეგების (ცოდნა-გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება) საგნობრივი რუკა:

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

1.1	*გერმანული ენათმეცნიერების* მოდულის ფარგლებში მაგისტრანტი იძენს: • დარგობრივ სინქრონულ პერსპექტივაში– გერმანული ენათმეცნიერების ცალკეული დარგების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების ლინგვისტური აზროვნების განვითარების ზოგადი სქემის, გერმანული ენათმეცნიერული ნააზრევის და თანამედროვე მეტაენის, ლინგვისტური კონცეფციების, თეორიების საკითხებსა და პრობლემების ცოდნას. შემდგომი ცალკეული, აუცილებელი და არჩევითი დისციპლინების ტერმინოლოგიისა და გერმანელ ენათმეცნიერთა უახლესი ნაშრომების, მათი სამეცნიერო მიღწევების ცოდნას. მაგისტრანტი ეუფლება: • ტექსტის ფილოლოგიური, ინტერდისციპლინური კვლევის მიდგომებს –	**გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები (საკომპეტენციო სავალდებულო საგანი გერმანული ფილოლოგიის ორივე მოდულისთვის)** **ტექსტის სტილისტიკა(ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის ანალიზის მეთოდები) სავალდებულო,**

	ლიტერატურათმცოდნეობითსა და ლინგვისტურ პერსპექტივებს, ორიენტირებულს ტექსტის სტილისტურ და ლინგვისტურ თავისებურებებზე, განსხვავებულ მეთოდოლოგიას.	**საკომპეტენციო.** **სოციოკულტურული სტერეოტიპები გერმანულენოვან ტექსტებში (ისტორიული მხარეთმცოდნეობა, მიგრანტების დისკურსი, მედიები) არჩევითი.**
1.2	• ცალკეულ ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას გერმანული ენათმეცნიერების ზოგად-თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ცოდნას თანამედროვე დონეზე. • ცოდნას ენის თეორიებში;	**ფონეტიკა/ფონოლოგია, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო დისციპლინები)** **სემიოტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კოპიუტერული ლინგვისტიკა, სიტყვაწარმოება (არჩევითი)** **სინტაქსის თანამედროვე თეორიები (სავალდებულო).** **გერმანული ენის ფუნქციონალური გრამატიკა (არჩევითი)**
1.3	• ცოდნას კვლევის ლინგვიტურ კომპარატისტულ მეთოდებში. • კომპეტენციას დარგობრივ ტერმინოლოგიასა და პრაგმატიკული ტექსტის (სამართლის, პოლიტიკური, ეკონომიკური) კვლევაში, თემატურ მიდგომებში. • ფილოლოგიური დისკუსიის ჩვევებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკებს: ემპირიული მასალის მოძიებას, მეთოდურ დალაგებას და ანალიზს • გერმანიის საუნივერსიტეტო სივრცეში მიღებული სამეცნიერო დისკურსის გამოყენებას ამრიგად: გერმანული ენათმეცნიერების მოდულის სტუდენტი პირველი სამი სემესტრის განმავლობაში სწავლის შედეგად ეუფლება ღრმა და სისტემურ ცოდნას გერმანული ენის სინტაქსის, სემანტიკის, სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტიკის თანამედროვე თეორიებში ფილოლოგიური დისკუსიის ჩვევებსა და ლინგვისტური კვლევის	**კონტრასტული (გერამანულ/ქართული) ლინგვისტიკა (სავალდებულო)** **ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა(სავალდებულო)** **ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (სავალდებულო)** **სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა (არჩევითი)**

	ტექნიკებს: • ენობრივი კორპუსის შედგენას, მეთოდურ დალაგებას და და ლინგვისტური ანალიზის ტექნიკას • ლინგვისტურ– სტილისტიკური ინტერპრეტაციის მეთოდებს • კომპარატისტული და კულტურკონტრასტული კვლევის მეთოდებს.	
1.4	***გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის*** **მოდულის** ფარგლებში მაგისტრანტი იღებს დარგობრივ ცოდნას გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში: • სინქრონულ პერსპექტივაში სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მოდული გულისხმობს: ლიტერატურათმცოდნეობის ცალკეული დარგებისა და მოვლენების თეორიული საფუძვლებისა და კვლევათა მეთოდოლოგიური თავისებურების გაცნობას; გერმანულენოვანი ლიტერატურის თეორიაში • ისეთ მნიშვნელოვან მეთოდებში როგორიც არის ლიტერატურული ჰერმენევტიკა, ტექსტის იმანენტური ინტერპრეტაცია, ახალი კრიტიციზმი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა, დეკონსტრუქცია, დისკურსის ანალიზი, ფსიქოანალიტიკური ლიტერატურათმცოდნეობა, „ფრანკფურტის სკოლის“ კრიტიკული თეორია (თეოდორ ადორნო, ვალტერ ბენიამინი), ემპირიული ლიტერატურათმცოდნეობა (ზიგფრიდ შმიდტის კონსტრუქტივიზმი), სისტემური თეორია და ნიკლას ლუმანი, და სხვა; • სპეციალურ ცოდნას კონსტანცის ლიტერატურული სკოლის რეცეფციის ესთეტიკაში : (ჰანს რობერტ იაუსის „ესთეტური განცდა და ლიტერატურული ჰერმენევტიკა“, „ლიტერატურის ისტორია როგორც პროვოკაცია“; ვოლფგანგ იზერის „ტექსტების აპელატიური ფუნქცია“, „კითხვის აქტი: ესთეტური გავლენის თეორია“, „იმპლიციტური მკითხველი“. მაგისტრანტები გაეცნობიან რომანის თეორიის უმნიშვნელოვანეს კონცეფციებს,	**გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები** **ჰერმენევტიკული კონცეფციები – ფრიდრიხ შლაიერმახერი, ვილჰელმ დილთაი, მარტინ ჰაიდეგერი, ჰანს გეორგ გადამერი** **გერმანულენოვანი რომანი;** **გერმანულენოვანი დრამა;** **გერმანულენოვანი ლირიკა** **გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ავტორები (სემინარი: თ.მანი და მ.ფრიში);** **კონსტანცის ლიტერატურული სკოლის ლიტერატურული ჰერმენევტიკა;** **გერმანულენოვანი ლიტერატურათ-მცოდნეობის მეთოდები; რომანის, დრამის, ნოველის, მოთხრობის, ლირიკის თეორია);** **გერმანული მედიევისტიკა (გერმანული შუა**

	გერმანულენოვანი დრამის განვითარების ძირითად საფეხურებს, გერმანულენოვანი ნოველის და მოთხრობის თეორიას, ლირიკული ტექსტების ანალიზის თანამედროვე ხერხებს.	საუკუნეების საზოგადოება და ლიტერატურა– სოციოლოგიური მეთოდი ლიტარტურათმცოდნეობაში)
	• სასწავლო კურსების პირველ და მეორე ნაწილს აერთიანებს მათი ორიენტაცია გერმანულენოვანი ლიტერატურის ისტორიაზე, რომლის მეშვეობით სტუდენტი იძენს აღნიშნულ კონტექსტში ცოდნას გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფციის შესახებ საქართველოში. ასევე იძენს ცოდნას თომას მანის, მაქს ფრიშის, შემოქმედებაზე მათი ნაწარმოებების თარგმანის თეორიის კონტექსტში.;	გერმანულენოვანი ლიტერატურული მოდერნიზმი და ფრიდრიხ ნიცშე გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში 1(მე–20 საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურა და მაქს ვებერი)
	• გერმანული მედიევისტიკის ფარგლებში სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით სტუდენტს აქვს შუა საუკუნეების ლიტერატურულ ტექსტებზე მუშაობისა და გერმანულ შუა საუკუნეებში საზოგადოების და ლიტერატურული ტექსტების ურთიერთმიმართების ანალიზის უნარი;	გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში 2(გეორგ ზიმელი, ოსვალდ შპენგლერი და მე–20 საუკუნის ლიტერატურა).
	• მოდულის მესამე ნაწილში ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებში კურსდამთავრებულებს გააჩნიათ არა მხოლოდ გერმანულენოვანი ლიტერატურის ნაწარმოებების და მათი ავტორების შესახებ ცოდნა არამედ მნიშვნელოვანი გერმანელი ფილოსოფოსების, კულტურის ისტორიკოსების და სოციოლოგების – ფრიდრიხ შლაიერმახერის, ვილჰელმ დილთაის, მარტინ ჰაიდეგერის, ჰანს-გეორგ გადამერის, ფრიდრიხ ნიცშეს, მაქს ვებერის, გეორგ ზიმელის, ოსვალდ შპენგლერის – ნააზრევის გათვალისწინებით.; ინტერდისციპლინური მიდგომის უნარს კურსადამთავრებული იძენს აგრეთვე გერმანულენოვანი ლიტერატურის და კინემატოგრაფიის შედევრების ინტერმედიალურ ანალიზის შესწავლის გზით.	გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურa, გერმანულენოვანი ლირიკა, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, გერმანულენოვანი რომანი, დრამა, ლირიკა სხვ.); ექსპრესიონიზმი, პოსტმოდერნისტული გერმანული ლიტერატურა; მცირე ზომის ლიტერატურული ჟანრები: შვანკი, ნოველა, მოთხრობა ლირიკის ანალიზი, ლიტერატურული ტექსტის ანალიზი, გერმანული ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში,
	• მაგისტრანტი ეცნობა ნატურალიზმს, სიმბოლიზმს, ექსპრესიონიზმს, პოსტმოდერნისტულ გერმანულ ლიტერატურას, ახალ საგნობრიობას და იძენს ლიტერატურის ღრმა ცოდნას ყოველ	გერმანულენოვანი ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია, გერმანულენოვანი ლირიკა/რომანი/დრამა, ექსპრესიონიზმი, პოსტმოდერნიზმი

	სასწავლო კურსში, რომელშიც დამუშავებულია მაღალი ხარისხის გერმანულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. • შედეგად მაგისტრანტი იძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის დარგის შესახებ. მას შეეძლება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა გერმანულენოვანი ლიტერატურათ-მცოდნეობის სპეციალობის უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით, პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაცია ქართულ და გერმანულ ენებზე. მოდულის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსების დახმარებით გამოიმუშავებს ასევე ზოგად უნარ-ჩვევებს, რომლებიც გამოადგება პროფესიული საქმიანობისას: შეეძლება თავისი დასკვნების და არგუმენტაციის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბება; გამოიმუშავებს ანალიზის, შეფასების, პრობლემის გადაჭრის უნარებს; ექნება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და ჯგუფური მუშაობის უნარები; შეძლებს დროის დაგეგმვას და მართვას. ამრიგად, სტუდენტი პირველი სამი სემესტრის განმავლობაში სწავლის შედეგად: • ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად მიმართულებებს და ლიტერატურული ჟანრების განვითარების ისტორიას, ეტაპობრივად ეცნობა (მიზნობრივად შერჩეული ლიტერატურული ტექსტის კითხვა) საპროგრამო ნაწარმოებებს; • ეუფლება ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებსა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს • ეუფლება ცოდნას თანამდროვე ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან საკითხებსა და თემატიკის სფეროებში და ლიტერატურათმცოდნეობის წარსულის ზოგად სქემაზე დაყრდნობით.	**გერმანულენოვან ლიტერატურაში; გერმანულენოვანი ფილმების ანალიზი ისტორიულ -კულტურულ ჭრილში**

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

2.1	სამეცნიერო ინტერესთა სფეროს შერჩევისა და სამეცნიერო კვლევის წარმართვის უნარი გერმანისტული კვლევების პერსპექტივებიდან ლინგვისტური (სისტემურ /ლინგვისტური) ენათმეცნიერული პროცესების წვდომა და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასება.	**გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები** **ფონეტიკა/ფონოლოგია, სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა (სავალდებულო დისციპლინები)** **სემიოტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, კოპიუტერული ლინგვისტიკა, სიტყვაწარმოება (არჩევითი)** **კონტრასტული (გერამანულ/ქართული) ლინგვისტიკა (სავალდებულო)** **გერმანული ენის ფუნქციონალური გრამატიკა (არჩევითი)** **სინტაქსის თანამედროვე თეორიები (სავალდებულო).**
	ტექსტზე ორიენტირებული ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევის თანამედროვე გერმანული პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის პრობლემატიკიდან.	**ტექსტის სტილისტიკა(ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის ანალიზის მეთოდები) (სავალდებულო)** **ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა(სავალდებულო)** **ტექსტის ლინგვისტური ანალიზი (სავალდებულო)**
	ლიტერატურული პროცესების არსის და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებით. სხვადასხვა ლიტერატურული კვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასება. პროფესიულ საკითხებზე ექსპერტის სტატუსით ჩართვის უნარი. • სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი მიღებული ცოდნის საფუძველზე იძენს კონკრეტულად შემდეგ პრაქტიკულ უნარებს: • უცხო ენაზე: ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელების, დისკუსიის წარმართვის, დარგობრივ	**გერმანულენოვანი ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები ლიტერატურული ტექსტის ანალიზი.** **ახალი გერმანულენოვანი ლიტერატურa, გერმანულენოვანი ლირიკა, გერმანულენოვანი ლიტერატურის რეცეფცია საქართველოში, გერმანულენოვანი რომანი, დრამა, ლირიკა; ექსპრესიონიზმი, პოსტმოდერნისტული გერმანული ლიტერატურა;** **მცირე ზომის ლიტერატურული ჟანრები: შვანკი, ნოველა, მოთხრობა** **გერმანული მედიევისტიკა (გერმანული შუა საუკუნეების საზოგადოება და**

	საკითხებზე და კონსტრუქციული გზით კრიტიკული შეხედულებების გამოხატვის; • გერმანულ ენაზე ემპირიული მასალის, ავთენტური ტექსტების საკვლევი კორპუსის შერჩევისა და კითხვის; • გერმანულ ენაზე სეკუნდარული ლიტერატურის მოძიების, შერჩევისა, შეფასებისა და დალაგების, მოძიებული სამეცნიერო (სეკუნდარული) ლიტერატურის, დამუშავებისა და თარგმნა-კომენტირების; • ფილოლოგიური კვლევის სხვადასხვა მიმართულებების პრობლემებისა და მეთოდების გამოყენების, კვლევის ორიგინალური გზების ძიების და დამოუკიდებლად განხორციელების; მულტიკულტურულ გარემოში (მაგ. გერმულენოვან ქვეყანაში სწავლის დროს) კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის;	**ლიტერატურა– სოციოლოგიური მეთოდი ლიტარტურათმცოდნეობაში)** **გერმანულენოვანი ლიტერატურული მოდერნიზმი და ფრიდრიხ ნიცშე** **გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში 1(მე–20 საუკუნის გერმანულენოვანი ლიტერატურა და მაქს ვებერი)** **გერმანულენოვანი ლიტერატურა ინტერდისციპლინურ კონტექსტში 2(გეორგ ზიმელი, ოსვალდ შპენგლერი და მე–20 საუკუნის ლიტერატურა).**
	გერმანული ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები იძენენ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ე.წ. "ინსტრუმენტალურ კომპეტენციებს" - გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, გაგება და უნარები იმგვარი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც უფრო ფართო ან მულტიდისციპლინარულ კავშირშია მათ საგანთან.	**გერმანული ენათმეცნიერების ძირითადი ასპექტები (ლექცია–სემინარი გერმანულ ენაზე)** **ტექსტის სტილისტიკა(ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის ანალიზის მეთოდები) (ლექცია–სემინარი გერმანულ ენაზე)**
	მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.	**ტერმინოლოგია და დარგობრივი ტექსტის ლიგვისტიკა(ლექცია–სემინარი გერმანულ ენაზე)** **ლინგვისტური პრაგმატიკა (ლექცია–სემინარი გერმანულ ენაზე)** **ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაცია (გერმანულ ენაზე)**
	სტუდენტს შეუძლია: გერმანული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების ნათლად გადმოცემის უნარი.	**გერმანული ენის ფუნქციონალური გრამატიკა (გერმანულ ენაზე)** **გერმანულენოვანი ფილმების ანალიზი ისტორიულ -კულტურულ ჭრილში (გერმანულ ენაზე)** **სამეცნიერო მუშაობის ტექნიკა (გერმანულ ენაზე)**

		ორივე მოდულის დანარჩენი დისციპლინების სასემინარო მასალა – გერმანულ ენაზე

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა პროექტზე) და სხვ. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის ფორმატი და სწავლების მეთოდი მითითებულია ამ დისციპლინის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის ფორმატი და სწავლების მეთოდი მითითებულია ამ დისციპლინის სილაბუსში.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი:

ერთიანი სამაგისტრო პროგრამის
"გერმანული ფილოლოგია"
ხელმძღვანელი: **პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე**
(*იხ. დანართი N1 – Curriculum Vitae*)

მოდულის
გერმანული ენათმეცნიერება
ხელმძღვანელი: **პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე**

მოდულის
გერმანული ლიტერატურათ-
მცოდნეობა ხელმძღვანელები: **პროფ. დოქტ. დალი ფანჯიკიძე**
(*იხ. დანართი N2 – Curriculum Vitae*)
ასოც.პროფ. ალექსანდრე თვარაძე
(**იხ. დანართი** *N3 Curriculum Vitae*)

<u>დასაქმების სფეროები:</u>
უმაღლესი განათლება წინაპირობაა წარმატებული პროფესიული საქმინობის დაწყებისათვის. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამა, რომელიც უმეტესწილად კვლევაზეა ორიენტირებული, კურსდამთავრებულთა მომავალი პროფესიული ორიენტაციისათვის მნიშვნელოვან სამეცნიერო საფუძვლებს, მეთოდურ კომპეტენციებსა და პროფესიაზე მიმართულ კვალიფიკაციებს აერთიანებს. სამაგისტრო პროგრამა ემსახურება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ზოგადი ფილოლოგიური კომპეტენციების დარგობრივად გაღრმავებას. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემდეგ გერმანული ფილოლოგიის მაგისტრს საშუალება ეძლევა მონახოს შემდგომი დასაქმების სეგმენტი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. პროფესიულ და დარგობრივ ცოდნასთან ერთად მაგისტრანტი უმაღლესი განათლების მეორე საფეხდურზე სწავლის პროცესში იძენს კვალიფიკაციებს და უნარებს, რომლებიც ხელს უწყობს მას წარმოაჩინოს არა მხოლოდ დარგობრივი ცოდნა, არამედ ტრანსფერული უნარ-ჩვევები, რაც მისი დასაქმების საწინდარი ხდება შესაბამის სეგმენტში (საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ სფეროებში).

სწავლების პროცესში სავალდებულოა საკვანძო კვალიფიკაციათა შეძენა. კურსდამთავრებულები საქმდებიან ყველა იმ სფეროებში, სადაც ზოგადად მიმდინარეობს ინფორმაციის მოპოვება, მისი დამუშავება, გარკვეულ დროის მონაკვეთში ვერბალიზაცია და შესაბამისად, ამ უკანასკნელის ზეპირად ან წერილობით ფორმაში პრეზენტაცია.
აქედან გამომდინარე, იძენს რა კურსდამთავრებული სოციალურ, პროფესიულად სპეციფიკურ დარგობრივ კომპეტენციებს, მას შეუძლია დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- მეცნიერება და კვლევა– გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტი (გააგრძელოს სწავლა/კვლევა **<u>უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე);</u>** კვლევითი ინსტიტუტები: (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ლიტერატურის ინსტიტუტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი);
- ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში **<u>გერმანული ენის მასწავლებლად მაღალ კლასებში</u>** (მაინორ–პროგრამის *განათლების მეცნიერებათა მიმართულებაზე* სწავლის დასრულებისა და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ)
- განათლების სფერო – **<u>რეფერენტი</u>**, **<u>მოხელე/ადმინისტრატორი</u>** (უმაღლესი სასწავლებლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო);
- საგამომცემლო საქმე – **<u>რედაქტორი</u>** (ყველა ტიპის გამომცემლობა);
- ჟურნალისტიკა;
- პოლიტიკა – საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ფონდები და ორმხრივი პროექტები, საქართველოში მოქმედი გერმანული ინსტიტუციები **<u>–თარჯიმან რეფერენტი</u>.**
- კულტურის სფეროს კერძო და საჯარო სამსახურები;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა ;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

<u>სწავლის გაგრძელების საშუალება:</u>

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და შემდგომი სამეცნიერო საქმიანობის პერსპექტივის გათვალისწინებით სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა, როგორც სპეციალობით, ისე მონათესავე პროფილით.

დამატებითი ინფორმაცია:

კვლევითი კომპონენტი:
სამეცნიერო თემატიკა, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტს შეეძლება სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა, უნდა ეფუძნებოდეს სასწავლო დისციპლინების იმ დარგობრივი კომპეტენციების ბმულობას, რომელთა შეძენა ხდება საბაკალავრო ცოდნის საფუძველზე სამაგისტრო დონეზე.
მაგისტრანტთა კვლევითი პოტენციალი ვლინდება არამარტო საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ მათ მიერ სემინარებზე წარმოდგენილ ცალკეულ პრობლემატიკათა შესწავლასა და კვლევაში, რაც შემდგომში ასევე პოულობს სამაგისტრო ნაშრომებში ასახვას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის 2 სრული პროფესორი, 5 ასოცირებული, 2 ასისტენტ პროფესორი, 3 მოწვეული დოქტორი და 1 უცხოელი ლექტორი მუდმივად, ჩვეულებრივ გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ბიუროს უფროსი.

MA სასწავლო კომპონენტის შემსრულებელი პროფესორები:
პროფ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე, პროფ. დალი ფანჯიკიძე
ასოც.პროფ. ალექსანდრე თვარაძე, ასოც. პროფ. ნანა გოგოლაშვილი, ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე, ასოც. პროფ. მარინა ანდრაზაშვილი, ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე,
ასისტ.პროფ. სოფიო მუჯირი, ასისტ პროფ.კონსტანტინე ბრეგაძე
მოწვ. პროფ. ლევან ცაგარელი, მოწვ. პროფ. ოლეგ კაპანაძე, მოწვ. დოქტ. მარიამ ბარამიძე, მოწვ. დოქტ. მაია ფანჯიკიძე
მოწვეული გერმანელი პროფესორი: დოქტ. ელიზაბეტ ვენორი მოწვეული გერმანელი პროფესორი: დოქტ. ფოლკერ ვენორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

მიმართულებაზე ამჟამად არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.
ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი ორიგინალური და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურით გერმანულ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურატურათმცოდნეობაში, რომელიც პერიოდულად ახლდება თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის დიუსელდორფის უნივერსიტეტთან ინსტიტუთთაშორისი პარტნიორობის ფარგლებში გერმანისტიკის დარგში, ასევე გერმანიის შესაბამისი ინსტიტუციების დახმარებით. ასევე სხვა ტექნიკური საშუალებები: სამი კომპიუტერი, ორი ქსეროაპარატი, ბიმერი.

სამაგისტრო თემებზე მუშაობის დროს სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ აგრეთვე ჰუმბოლდტის, გოეთე-ინსტიტუტისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის თბილისის ბიუროს საბიბლიოთეკო, ისევე როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელთა პირადი წიგნადი ფონდები.

2008 წლიდან ხორციელდება საუნივერსიტეტო სწავლების სამივე დონეზე (BA, MA, PhD) **ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის გერმანისტიკის DAAD-ის ინსტიტუტთაშორისი თანამშრომლობა (GIP) გერმანისტიკის დარგში** კათედრებთან შემდეგ სპეციალობებში:

გერმანული ენათმეცნიერება
(გერმანისტიკა I - პროფ. დოქტ. დიტრიჰ ბუსე)

გერმანული ლიტერატურათმცოდნეობა
(გერმანისტიკა II – პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი)

მედიევისტიკა (გერმანისტიკა III - პროფ. დოქტ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელი)

პარტნიორობის წამყვანი პროფესორები: ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფ. დოქტ. სიბილე შენბორნი, თსუ *გერმანული ფილოლოგიის* დეპარტამენტის პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე

სტუდენტთა ხელშეწყობა საუნივერსიტეტო სწავლების BA, MA, PhD დონეებზე:
სემესტრული სტიპენდიები მაგისტრანტებისთვის დიუსელდორფის უნივერსიტეტში სასწავლებლად თსუ *გერმანული ფილოლოგიის* დეპარტამენტის 2 ან 3 **სტუდენტისთვის** (წელიწადში ერთხელ)
მაგისტრებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციები.

DAAD- ის დაფინანსებით საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში *გერმანული ფილოლოგიის* პროგრამის სამაგისტრო დონის სტუდენტებისთვის _ სემესტრული და/ან ერთთვიანი ზაფხულის სტიპენდიები საერთაშორისო კურსებზე ზაარლანდის, იენისა და ბამბერგის უნივერსიტეტებში.

დიუსელდორფელი პროფესორების მიერ ყოველი წლის შემოდგომის სემესტრში თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტში ტარდება ლექციები, სემინარები, ვორკ-შოპები და კონსულტაციები. მათ აქვთ შესაძლებლობა თვალყური ადევნონ და მონაწილეობა მიიღონ დიუსელდორფელი გერმანისტიკის მაგისტრების/ პრაქტიკანტების ტუტურიუმებში.

სწავლებისა და კვლევის ერთობლიობა:
პარტნიორობაში ჩაბმულ ქართველ და გერმანელ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში (როგორიც იყო 2009 წლის "ენები და ემოციები") და სათანადო საერთაშორისო ექსპერტიზის გავლის შემდეგ გამოაქვეყნონ ნაშრომები *„გერმანული ენის საზოგადოების"* ერთობლივ გერმანულენოვან საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში "Germanistische Studien" (Dortmund . Tbilissi). ჟურნალის საიუბილეო N 10/ში (2010) გამოქვეყნდა კონფერენციაში მონაწილე თსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტისა და დიუსლედორფის პარტნიორი უნივერსიტეტის მაგისტრების სტატიები.

DAAD-ის მიერ დაფინანსებული ინსტიტუტთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში დიუსელდორფის უნივერსიტეტის კათედრებთან გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციები.

გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის მაგისტრატებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ გერმანიის აკადემიური გაცვლის ყოველწლიურ შესარჩევ კონკურსში და სტიპენდიით გაიარონ სწავლების ერთი სემესტრი გერმანიის ნებისმიერ ქალაქში. არსებობს ასევე საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში სტიპენდიები
(ზაარლანდის, იენის და ბამბერგის უნივერსიტეტებში) და სხვა შესაძლებლობები.

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **გერმანული ფილოლოგიის** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.